საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-69. 69232476**
თარიღი:**04/09/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ქვეპუნქტისა და 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს **სააქციო საზოგადოება „სილქნეტს“** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე 30 ცალი ელექტრო საყრდენების (ბოძების) ის ნაწილი, რაც ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლადაა საჭირო, აქედან 28 ცალი ელექტრო საყრდენების (ბოძების) ის ნაწილი, რაც ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლადაა საჭირო 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო 2 ცალი 5 (ხუთი) წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასყიდლით.

აღნიშნული ობიექტებია:

სოლომონ მეფის ქუჩის ხაზობრივი ობიექტის ს/კ 36.00.158.

სოლომონ მეფის ქ. N90-ის მიმდებარედ-ერთი ბოძი ორი წლის ვადით.

სოლომონ მეფის ქ.N15-ის მიმდებარედ -რვა ბოძი ორი წლის ვადით.

სოლომონ მეფის ქ. N38-ის მიმდებარედ -ორი ბოძი ორი წლის ვადით.

სოლომონ მეფის ქ.N12-ის მიმდებარედ-ორი ბოძი ორი წლის ვადით.

კიკნაძის ქუჩის ხაზობრივი ობიექტის ს/კ 36.00.500.

კიკნაძის ქუჩის მიმდებარედ -ათი ბოძი ორი წლის ვადით.

გალაქტიონის ქუჩის ხაზობრივი ნაგებობის ს/კ 36.00.164.

გალაქტიონის ქუჩის მიმდებარედ -ხუთი ბოძი ორი წლის ვადით.

სოლომონ მეფის ქუჩის ხაზობრივი ობიექტის ს/კ 36.00.158.

სოლომონ მეფის ქუჩა N16-ის მიმდებარედ -ორი ბოძი ხუთი წლის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი